

# მიუწოდეს მარტინი



სამურის მუნიციპალიტეტის გაზეო „სამურის მოამბის“ დამატება  
№3, 30 ოქტომბერი, პარასკევი, 2015 წელი

რუსთაველის შემდეგ, ქართულ პოე-  
ზიაში, არც ერთ პოეტს არ ღირსებია  
ისეთი დიდი სახალხო სიყვარული და  
აღიარება, როგორც აკაკი წერეთელს.  
მის შემოქმედებაში, იმთავითვე, ერის სულიერ  
მისწრაფებათა, მის თავისებურებათა გამოხატ-  
ულება დაინახეს. „ბედინიერი ნიჭის“ შემოქმედი  
უწოდა **ილია ჭავჭავაძემ** აკაკი წერეთელს. „შო-  
რეული თავისიანი“ **არტურ ლაისტი** აკაკის მემ-  
კავირებას ერის „გვირვას განხად“ მიიჩნევდა.

აკაკი წერეთელი, თავისი შემოქმედებითი  
მრავალმხრივობით ჭეშმარიტი სამოციანელია,  
იგი თითქმის ყველა ჟანრში მოღვაწეობდა.  
წერდა ლექსებს, პოემებს, დრამატულ თხზუ-  
ლებებს, მოთხრობებს, ლიტერატურულ-პუბლი-  
ცისტურ წერილებს, ფლენეტონებს და ა. შ.  
მიუხედავად აღნიშნულისა, აკაკი, პირველ  
ყოვლისა, მაინც დარჩა ჭეშმარიტ ლირიკოსად.

გადაგტიონ ტაბიძის სიტყვებით, „მრავალი პოეტი მისცა საქართველოს მეცხრამეტე საუკუნემ, მაგრამ ისეთი, ოომელიც მთლიანად გამოსახავდა თავის თავს და თავის დროს, პოეზიაში, აკაკის მსგავსი არავინ არის. მისი გულიდან ამონეთქვე მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი, ძალადაუტანებელი ხმები, მას არა აქვს ყალბი ნოტები. იგი მგოსანია ცოცხალი გრძნობის“.

აკაგი წერეთედი თავის ლირიკულ ლექსებში დიდ ადგილს უთმობს ხელოვნების რაობის, მისი საზოგადოებრივი შინაარსის ჩვენებას. მისთვის პოეზია მადლია, ცის ნიჭია, რომელიც ღმერთისგან ეძლევათ მხოლოდ რჩეულო.

აკაკი წერეთელს, როგორც ხელოვანს მუდამ თან ახლავს იმის შეგნება, რომ პოეტის ნიჭს საფუძვლად უდევს დვოთა-ბრივი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ავიწყებს მას ყოველგვარ განსაცდელს, ტანჯვას და ღმერთისადმი ლოცვად აღვლენილს, ათქმევინებს უზენაესის ქებათა-ქებას:

„რამ ამამაღლა? გინ მაგრძნობინა  
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..  
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება  
ძლევამოსილად გარდამიცვალა?! –  
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის  
კავშირო და, თან, შუამავალო!  
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს  
მზავარსიცოცხლე მოლადვანაცვალო!  
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,  
გამოუთქმელო ქაცთა ენითა...  
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ  
და მონავარდე აღმაფრენითა“...

თუ ჩონგურის „სიმთა ხების ჰარმონია“, ერთის მხრით, ადამიანს მაღლა უნდა ეწეოდეს, ადამიანობის უზენაეს მაღლს აზიარებდეს, მეორე მხრით, აკაკი თავის თავს „გარემოების საყვირად“ აღიქვამს, რომ სიმართლეს ემსახუროს. მისი აზრით, პოეზიის ძალა, ამ მხრივ, გულწრფელობასა და უშუალობაშია,

କୃତ୍ୟାଳ ମେଣ୍ଡିଙ୍ - ଗନ୍ଧା  
“ପ୍ରାଚୀନତାକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ”

და არ შედრკება, თუნდაც ქვით ჩაიქოლოს  
აკაკი წერეთლის ლირიკის და, საერთო-  
დაც, მთელი მისი შემოქმედების უმთავრუ-  
სი, წარმმართველი გრძნობაა პატრიოტიზმი  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა მსჯვა-

ଫର୍ମଟ୍ ପାଇଁ 175,  
ଗନ୍ଧିତ୍ୱାଲ୍ୟର୍କ୍ସ 100 ଟଙ୍କା



ლავს მის პოეზიას. აკაკის პატრიოტული გრძნობა უადრესად კეთილშობილურია, რადგან იგი ეფუძნება სხვა ქვეყნების დირსების აღიარებას და პატივისცემას. აკაკისთვის მთელი ქვეყანა სახატეა, ოღონდაც მას თავისი ხატი ჰყავს – სამშობლო. ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს იგი ვერც სხვა ქვეყანას შეიყვარებს. აკაკი წერეთელმა მაღალოსტაზე გრძნობა შეძლო, თავის ლირიკაში ამ გრძნობის უფაქიზეს მხარეებს შეხებოდა. მან ინტიმური გრძნობებიც მაღალეთი იდეალს დაუქვემდებარა. სატრუქოს სახ-ავ პატრიოტული მიზანისწყავით აღმისალა

აც პატოიორული მიზანს სრაფვით გახდს ჭვალა. აკაკის სამშობლოა „ცა-ფირუზი – ხელეთ-ზურმუხეტი“ მხარე, სატრფო, „ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხშიშველა, თავზედ ლეჩაქმოხდილი“, ავადმყოფი, რომელიც „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძეს ვინც შენაგრის იმის სიკვდილს, უმაღ მასვე დაამიწებს“. აკაკის სამშობლოა მარადიული სატრფო – ნესტანი, რომელიც ქაჯებს ჰყავთ ტყვევე და გამოხსნას მოელის, ამირანია, რომელიც გავაძასის ქედზე მიუჯაჭვავთ, „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი სიხარულით შეეცვლება იმდენი ხნის გასაჭირი“. აქაკის ლექსის ენა უაღრესად ემოციურია.

პირდაპირ გულს რომ უმიზნებს.  
მის პატრიოტულ ლექსებს, რო-  
გორც აღნიშნავენ, დიდი გადამდე-  
ბი ძალაც აქვს, რომ პოეტი კი არ  
უგრავს, კი არ ქადაგებს სამშობლოს სიყ-  
ლს, არამედ კამათის ფორმით ამკიდრებს  
თოები საზოგადოდ კი არ მოუწოდებს,  
ბლო გიყვარდეთო, არამედ სასტიკად  
ს ქართველს, ვინც არც შინ ვარგა, არც  
„ჯერ ქართული არ იცის“ და „უცხოს  
“, პირში მთქმელი არ უკარს. თუ შია,  
პატრიოტობს, მაგრამ გამდარი სულ სხ-  
ებაკის მიზანში აქვს ამოღებული, თაგე-  
ს იმას, ვინც „დედას სხეულს და ავად-  
ერიდება, აშორებს თვალს, მოწიწებით  
ნაა სცემს გადამთიელ დედინაცვალს“,  
მარტო თვალტანადობა აქვს ქართვე-  
ლულით კი სხვა სჯულისაა. „ღმერთად  
ამს არავინ სხვა, გარდა კუჭის, გარდა  
ს“. აკაცის მწარე ირონიის ობიექტია  
რთველები, ვინც „ქართულ ენას არად  
შვილებს რუსულადა ზრდიან, ტრედია-  
ს აქებენ, და რუსოველს კი დასცინიან“.

აპაკი წერეთელი თავისი გაბედული ლე-  
ქსებით აფხიზლებდა ქართველ ხალხს, თა-  
ვისი ნამდვილი მტერ-მოყვარე რომ ეცნო.

აკაკის პოეტური მემკვიდრეობა უაღრესად  
მრავალმხრივია. მისი ტალანტის მრავალ-  
ფეროვნებას და მრავალმხრივობას საგანგე-  
ბოდ გახაზავდა დიდი გალაკტიონი, როცა  
წერდა: „აგარი ნამდვილი, სერგანტესი იყო  
ხუმრობაში, ნამდვილი ბაირონი მწუხარე-  
ბაში, ნამდვილი ჰაინე ეროტიზმში და შეუ-  
დარებელი მოქალაქე მამულის სიუგადულში“.

როგორც დიდი ფილოსოფოსი ჰეგელი ამბობს: “თუ ხელოვანის მიერ ასახულ მასალას აწყვისთან, თანამედროვე ცხოვრებას-თან ადარებითარი კავშირი არა აქვს, მაშინ იგი ჩვენი ადარ არის, საკუთარი ხალხის თვით წარსული ჩვენს დღევანდელ მდგომარეობასთან უფრო ახლო კავშირში უნდა იმულებოდეს”.

თანადროულობის ერთი აუცილებელი ნიშანი თავისი დროის სიმაღლეზე ყოფნაა, მაგრამ ამასთანავე, იგი გულისხმობს არა მხოლოდ თანამედროვე მოვლენებისა და ყოფის ასახვას, არამედ მათ ასახვას ისეთი პოზიციიდან, რომელიც ლოკალურ დროზე მაღლა დგას, ზედროულია, როცა ხელოვანის ნაწარმოებს გადალახული აქვს დროის ჯებირები. თუ რომელიმე ქართველ პოეტზე ითქმის, რომ თანამედროვეა თავისი აზრობრივე-ემოციური სამყაროთი, ეს, უპირველესად, აკაკი წერეთელია.

ამგვარი იყო იგი თავისი ბუნებით, თავის დიდ მისიასაც ქვეყნის ყოველდღიური საზოგადოების განხსნავაში, ქვეყნის საჭიროების დაუზიარელ სამსახურში ხედავდა. თავისი ქვეყანაც ძალიან საჭიროებდა ასეთ ხელოვანს (ანდა, როდის არ საჭიროებდა?!?) და ბეჭისიერია იგი, რომ პყავს აყაკი წერეთელი!

ଲୋକ ମନ୍ଦିର

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



ხაშურის სამუზეუმო გამოთიანების 0603043001 მიმდინარეობს დიმიტრი შივიანის რძლის, მომრლისა და საზოგადო მოღვაწის **5069 გიგანტის** არქივის კვლევა, რომელიც თბილის სხადასხაბა მუზეუმებსა და პილოტისა და გამოცდა აღმიტრი შივიანის სახლ-მუზეუმის უნდების მცხოვრი პლატა გიგანტის, რომელი მაც აკაპი ჭერილის საიუბილეო თარიღიან დაკავშირების მობგაფოდა 6069 შივიანის ერთ-ერთი ჭერილი.

## აკაპის ცემოადიან

სულ მოკლე ხანმა განვითო მას აქეთ, რაც, იმ ჩვენთვის სანეტარო დღეს, მეც მხვდა წილად, წარმომსდგარიყავ შენს წინაშე მოსალოცად ისეროგორც დღეს მხვდა უბედური ხვედრი – შენი ცხედრის წინ მოვ-სულიყავ დასატირებლად. მაშინ მე ჩემი სიტყვა შენდამი ასე დავიწყე:

ჩვენო ძვირფასო, და, რაც უფრო, მოტანებულია ქამი შენთან განშორებისა, მით უფრო გაძირფასებულო–მეთქი. რა საბედისწერო ყოფილა ჩემგან ეს ნათქვამი! აკი, შენც ამაზე ცრემლი მოგერია და მეც ჩემი სიტყვები შევინანიგ.

მართალია, ამით, უნებურად გავახსენე შენი მომაკვდაობაც, მაგრამ ქართველის გული მაინც ვერ შეეგუებოდა იმ აზრს, რომ შენ ხორციელადაც უკვდავი არ იქნებოდი, ან რა გასაკვირალია? წარმოიდგინე გაშვილებული, მშიერ–მწყურვალი, სულით ტანჯული ადამიანი ჩაფერფლილ კერას რომ მისჩერებია, სადაც მხოლოდ ერთადერთი დარჩენილი კუნძი დევს, დვივის და მისგან, დროდადრო, ავარდნილი ნაპერწკლებითა თბება. მოხვდა ნიაღვარი და ეს კუნძიც ჩაექრო! და, შენც ხომ, ქართველის ჩაგრული გულისთვის, მისი მაშვრალი სულისთვის სწორედ ასეთი ცეცხლი იყავი!

მაგრამ ნეტავ, რად ძალუმს ჩემს სუსტ ენას დავსახო აქ ის, რაც შენ ჩვენთვის იყავი! და ეს არც მინდა. მე სულ სხვა ცეცხლი მეკიდება გულს, შენ რომ გხდავდად უმებულს! რომ შემეძლოს რომენება მქონდეს ამისი, მე მოვიგდებული თავს, გავშლიდი თმებს და დაწვთა ხოკით, შენი ლეჩაქ-მოხდილი სამშობლოს წილ, მოთქმით ასე გეტყოდი:

ჩემო პირმშო შვილო, აკაკი, ამას რას სჩადი? რა დრო შეგირჩევია საუკუნო ძილისთვის? აბა, მიმოიხედე ჩემს გარშემო, რა დღე მადგია! მოელი ჩემი არსება მწუხარებითა სდულს და გადმოდის! ჩემი მშვენიერი ვაჟეაცნი, ჩემი არწივნი, გულიდან მომგლიჯეს და შორს გადმიტყორცნეს, იქ სისხლს დვრიან!

სურნი და უძლურნი, მშიერ–მწყურვალი, ისინი კენესიან! მათ შველა უნდა და ვინ იქნება იმათი პატრონი, და თუ არა, ისევ შენ, ორმოცდაათი წლის განმავლობაში მათთვის კერპად დამდნარო?

აი, ამას გეტყოდი, ამას გისაყვედურებდი შენი გულდამწვარი სამშობლოს წილ, ჩვენო ნუგეშო, ჩვენო ჭირისუფალო აკაკი. მაგრამ იქნებ, ამაზე შენც გქონდა პასუხი, შენც დაიდალე, დაიქანცე აქ მასზე ზრუნვით, მასზე მოთქმით და იქნებ, ახლა სხვა გზას მიჰმართე, დაუახლოვდი იმის მფარველს, რომ მას აუწყო მისი ყოველი და მომავალი ჩვენი ბედი იმას მიანდო.

იყოს ნება შენი, ჩვენო გულთამხილავო, საყვარელო მოხუცო და აი, ჩვენც მოვედით შენს ტკბილ ბინაზე, მოვედით რომ მოგტაცოთ შენ უნებურად, შენს საყვარელ საჩხერეს, შენს მათაყვანებელ ნათესავებს, მეზობლებს და მთელს იმერეთს, რომ მოგიყვანოთ შენს დედა-ქალაქს და იქ მივაბაროთ იმის წიაღს შენი ძვირფასი ცხედარი.

იქ, შენს აღმართულ წმინდა საფლავზე შემოვიკრიბებით მთელი შენი ერი და იქ დაგვძებთ ფიცს, წმინდა აღთქმას, რომ ვემსახუროთ შენს მომდვრებას, შენს ტკბილ სამშობლოს თავდადებით, შეუდრევებლად და შენ კი, დიდო ჩვენო ჭირისუფალო, კვლავ ილოცე ჩვენთვის, ილოცე, რომ დაგვდგომოდეს ისეთი დრო, როდესაც შევსძლებთ, მოვიდეთ შენთან და შენგან დაბარებული აღგისრულოთ, ჩამოგძახოთ:

– გიხაროდეს, მონატრებულო, გაიღვია, გაიღვია!

ეხლა კი, მოწიწებით და სახოებით ვიდრეკ მუხლის შენი ნათელი ცხედრის წინაშე და გმადლობ, უსაზღვროდ გმადლობ შენი დიდი ამაგისთვის, ჩვენს გულში სამარადისოდ აღბეჭდილო, ტკბილო აკაკი!

**ნინო გიგანტი**

გაზეთი „თემი“, №207, 1915, 16.02



„კაკი ატირდა და თქვა, უამხანვოდ ჰელენი“  
ნინო ნერეთლის მოგონერიდან

რამ აგატირა წრემლებით უხვით,  
თავი რაფ იგრძენ უამხანვოდ?!  
შენ - პოეზიის ფესვმაგარ მუხა  
თვით ზერა უნდა მოგექარაგმოს!  
რამ შეანუხა კაწი-პოეტი,  
რაჭომ ატირდა ლმეროთი ზერიდან?  
რომელ ამხანვას უნდა მოეძლენ  
შენთვის ძვირფასი ის ფირ-ვერწლი და  
ვის უნდა ეთქვა ერთი სიმართლე,  
თუ არ შეის - შპრენინავს ქვეყნის ბომხადად,  
სად გაგონილა, ანდა სად თქმულა  
ლმერთს ამხანვად ვინმე პუნლოდა?!  
წრემლად გაფმოლვრილ ვარსკვლავთ ალმასებს  
იმერეთის წა ჩუმად კვირვორწად  
და იქ - სხვიჭორულ მინის რაქანზე  
კაწი კი არა, ლმერთი ტიროდა...

მურად მთავრეკლიძე



3 თ ე ბ ი ა

## ნაცი ლონიჭიძილი

\*\*\*  
 ვერმი, ვდგერი! ისევ  
 ვერმი...  
 საფლავ აქ, ჩემი თმენის  
 ზღვარია..  
 ფლემფე, მოვდივარ ხელის  
 სასტანი  
 და ვეძერ ჩემს გზას  
 ფილი ხანია...  
 ფალოლი მოლოდინს სიმშვიდეს  
 ვუქმევ  
 და ვიძეორებ, როგორ  
 რიტუალს...  
 ფრთ, სამოლონოდ მაფრთხილებს  
 უკვე,  
 რომ სამოლონო იმედს  
 მიტოვებს...  
 და... ისევ ვდგერი! ალარ  
 ვერმი!  
 როგორ სტიქია, იტრდვის  
 განგერა...  
 ზღვაში, მინაზე - ყველგან  
 მეძერენ  
 ჩემი სიკეთის მუმერანგერი...



ალარ თენდერა,  
 ლეგა ზერამ მზე დაჭუვევა...  
 მინდა ავდგე და  
 კოშმარები გავამზეურო,  
 თუმჯ, ხანდაზმული ჩემი დარღი  
 ყველგან დამყენა, -  
 ვით ჩრდილი ჩემი,  
 უფერული და უხეირო...  
 ამ უნუგეშო მარტონბას  
 ვადა არ გასდის...  
 და გულ-გრილობით ნაირევს,  
 ფრთ ვერ მკურნალობს...  
 ფლეს, ერთადერთი ჩემი ლექსი,  
 ვით ავანგარდი  
 სულის ხვეულებს მიმზეურებს  
 და მიმზურვალებს...

## გრი ბაბიტონდები

ფლეს ავინუფიტე ქველი ლუზა...  
 გზა გავაგრძელეს  
 და შევიგრძენი  
 ზედაპირის ზანტი ლივლივი...  
 სულის უძველეს კიფორნაში  
 ველარ გავძელი...  
 ფიფხანს მეგონა,  
 ასე წხრა ზღვის გადავივლიფი...  
 ჩამოვაშორე სქელი მტევრი  
 მაწყურ უწერას  
 და ჩავისუნიქე  
 შენი სუნთქვით სავსე ჰერო...  
 ფლეს ჩემი ეგო  
 ოქნერზე ველარ მოწერა...  
 გზა გავაგრძელეს.  
 გზა უწხო და რალარი....

## ბაბიტონ

ეს ზაფხულის გასულა,  
 გურე-გურე, ქართაქარ...  
 ზინდი გახდა ზრდასრული,  
 ნვიმა დადის კართაკარ...  
 მომექალა ზე სევდა,  
 განწყა რუხი ფლის ფერი...  
 მენაჭრებით მზე, შენ და  
 წა ზერაზე წისფერი...

## ბარბაზი

ჰა, კიდევ ერთი წელი მეახლა  
 და დარდი ჭიქის ფსკერზე ჩავკიდე...  
 შენი ლიმილი მასხველს მე ახლა,  
 თვალებში შავი ტერები ჩანს, კიდევ...  
 ეს ბორნეულისფერი ტუჩერი  
 მნიშვე ხილივით არის დამტკრი,  
 ჩემს ლექსებს ვერჯ შენ გადაურჩერი, -  
 ასეთი ნორჩი, მდორე და მტკრარი.  
 ჩემში შიშველი კლემა გახელებს  
 და ხორბლისფერად აჭრა ლანვერის...  
 ეს ლექსი მიჭას გადაგახედებს,  
 დასაძინებლად როგა დაწვერი...

## ლებაური



შიო ლალუაშვილი დაიბა-  
 და ქ. ხაშურში. ამჟამად ილ-  
 ის სახელმისამართის უნივერ-  
 სიტემის მაცივარებისა და  
 ხელოვანების ფაკულტეტის  
 პირველი პურსის სტუდენტია.  
 ლებაურის ცერა რიტ ცლის ნინ  
 დაიცემო. სათბოლოებისა და ლეძის  
 ფორმის ერთდროულ ძიებაშია  
 18 წლის ინიციატი ახალგაზრდა...  
 საკუთარ თავზე მუშაობით,  
 ვფიქრობთ, შიო ლალუაშვილის  
 სახით, საინტერესო ავტორი  
 შეიმატა ძართულ პოეზიას.

\* \* \*

შენს თავს ჰერ, თუმჯ, სულ პატარას არქმევ და ისევ,  
 ვერაფრით ატევ სამყაროში ანერილ ფიქრებს,  
 გვინია, შენი სული არის უძირო სილომე,  
 აივლი კინეს, ჩქარობ... საფეხ გელიან, იქნებ...  
 ამ სამყაროში ისე გინდა შენ სიმარტოვე,  
 როგორ შვილომყულულ ფედის ომში, შვილისთვის - მინა!  
 მერე გაითბორ კაპილარით გადამსკადარ ხელებს,  
 მაგ სისხლის სითბო გულს გიძგერებს და სუნთქვას გინვავს!  
 მერე თავისთან დამიბარებულ ვაგნერი, ლისტი,  
 მე კი გრაგნილებს მივიჭან და მოვაზნევ კართან,  
 ვიუ, ნაკლები შემიძლია, ვიწი და ვიუ,  
 თავად გოეთე მის შეგირდად შენ აგიყვანდა.  
 მე, ფიფხან ფიფი მიზნერისგან ვიქნები შორით,  
 უმნეო, მხოლოდ ღმერთისაგან მოვითხოვ შველას,  
 კვლავარ იქნება სამოძლოველი, თიოქოს ომივით,  
 მე ნავაგებ და შევუჩვევი უფრთხოდ ფრენას.

\* \* \*

ფლეს, ვის რად უნდა კავზიმოდო, თუკი გრე ჰევა?  
 ნარცისულის ძეგლებს ნაუშალეს გვარ-სახელები,  
 არ არის ფილა, არჯ სალამო, იქნებ, შეიკრას  
 იუდამ ყულფი, ნაშაულევს თავის ხელებით...  
 ჰიდა, შენი ვაგნერ, მესაყვირეს უთხარი, ტაქტიში  
 სწორად ჩაჭდეს და, ამ ნიუშესავ, იქნებ, გაუგო,  
 რალა გაგიხდათ ერთი ტყვია, პალლომ ტაში  
 შეაწყვეტინა ზრბის და, მერე ნესი აიგო.  
 თქვენ კი, თქვენ ტაქტარ ალარ უკრავთ, პარტერში სხეფხართ  
 ბოლმით სავსენი, ლოუას ავად, ფხიზლად შექმურებოთ,  
 გსურთ, მთელ სამყაროს მოროგება დაეცეს მეხად,  
 გონერის ლიტრით გადაბინდავთ, დაიხსოვთ ყურებს!  
 აულელურლად გამიმეტებოთ მერ და... შვილებსაც!  
 მთელ თქვენს ფალანგებს ჩარიყადებს მიუძღვით ისევ,  
 ლამანჩელის არჭარს დაუწყენებოთ ნასაფილებს და,  
 წხეფრების აფგილს, კალავ შავ-ტეორებს გამოფენი ნიშებს!..  
 და ვის რად უნდა კავზიმოდო, თუკი გრე ჰევა?  
 თუკი ძეგლებსაც სახელები კალავ ნაუშალეს...



**ბიოგრაფიული დაზიანების საშუალების აღმართ ჩაის მომსახურების განვითარების და ჩანახატობის განვითარების და ჩანახატობის**

### მოგარენი რეალობა

მოხუცი მოღრუბლები ზეცას შეჰყურებდა. ციოდა... ფიქრებში ისე გართულიყო, რომ ყველაფერი დავიწყებოდა. ბერიკაცის წინ ახოვანი მამაკაცი იჯდა, მოუთმენლად ელოდა, თუ რას იტყოდა იგი... მათ გვერდით ოც წლამდე სიმპატიური ბიჭი ჩამომჯდარიყო. მამაკაცი, დროდადრო, არაუს სვამდა და მოხუცის შესცემროდა.

—რას ჩაფიქრებულხარ, მოხუცო? რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე, თორებ დავიტანჯეთ უსაქმეურობით...

—თქვენ ლაპარაკი საქმიანობა გვინიათ?

—შეიძლება, ასეც ითქვას — გაეპასუხა კაცი.

—სიყვარულზე...

—სიყვარულით? ხომ არ მომესმა?.. ჩვენ ყველანი იღუზიებითა და გალებით ცეცხლობთ, არ დაგავიწყდეს, — ისევ უპასუხა კაცმა.

—სიყვარული და იღუზია სხვადასხვა ცნებებია.

—ეი, მაგრამ, დღეს დღეობით, სიყვარული არ არსებობს, სამაგიეროდ, არსებობს იღუზიები სიყვარულზე.

—მაგრამ სიყვარულის გარეშე, ადამიანის ყოფას რა აზრი აქვს? — დიალოგში ბიჭი ჩაერთო.

— ყოველ სიყვარულს მარადიულობა სწყურია და სწორებ ეს არის სიყვარულის მარადიული წამება. მყარი ამქვეყნად არაფერი არ არის, არც მარადიული დარჩა რამე. ყველაფერი წარმავალია, სიყვარულიც კი! — კაცმა დაამთავრა და არაუი მოსვა...

—მაგრამ სიყვარული ხომ...

—შეეშვი, — შეაწევებინა მოხუცმა ახალგაზრდას, — მაგისტრის სიყვარული არ არსებობს, იცი, როგორია მისი ცხოვრება? — გავიდვიძე, დავლიუ, გავითიშვ.

— გავიდვიძე, ისევ დავლიუ გავითიშვ. ასე გრძელდება უსასრულოდ.

ბიჭისთვის მოხუცისა და ლოთის საუბარი გაურკვევები იყო, იგი სულ სხვაგარად ფიქრობდა.

—მართალია, ადამიანის სიცოცხლე ძალიან ხანგრძლივია ერთი სიყვარულისთვის, მეტად ხანგრძლივი... სიყვარული მშვენიერი რამ არის, მაგრამ ორთაგან ერთ-ერთი ყოველთვის მოიწყენს, ხოლმე. მეორეს კი, სხვა არაფერი დარჩენია, გაშეშდება და რაღაცას ელის. — მჭერმეტყველება დაიწყო ახალგაზრდა ბიჭმაც.

—მაგრამ არსებობს ქალი, რომელიც ერთხელ მოვა ცხოვრებაში და ყველაფერს დაავიწყებს კაცს, სწორებ ამაზე საუბრობს მოხუცი. მე ვიცი ქალი, რომელიც მან ვერ დაივიწყება, ქალი, რომელმაც მის არსებას ყოველი მოლექულა დაუკარგა, რომელმაც გაანადგურა მისი აზრები და თავის მორჩილ და ერთგულ არსებად აქცია! — აი, ამიტომ გეუბნები, მაგას ნუ უსმენ, ხელმოცარული მასწავლებელი ან დიდ სარგებელს მოგიტანს, ან დიდ ზიანს მოგაყენებს, მას კი სარგებლობის არა ეტყობა რა. — თავისას არ იშლიდა აიცი.

ის მართალი იყო... მოხუცს მარადიული სიყვარულის სწამდა, რომელიც ერთხელ მოდის ჩვენს ცხოვრებაში. არყის მსმელს საჯეროდ არ სჯეროდა სიყვარულის არსებობის, ახალგაზრდას კი მუდამ უკარდა ვიდაც... საქმარისი იყო, ერთს დაშორებოდა, მის ცხოვრებაში სხვა გამოწნდებოდა. „მეფე მოკვდა? — გაუმარჯოს ახალ მეფეს!“ ასეთი იყო მისი დევიზი.

ლაპარაკში გართგულებმა ვერც შენიშვნეს, როგორ მიუახლოვდა მათ მომხიდალელი გოგონა.

—ქალიშვილო, გნებავთ, გიმკითხაოთ? თქვენ აქ არ ცხოვრობთ. — მისალმების ნიშნად თავი დაუკრა ბიჭმა.

—თავი არ წააგო, არ შეგვარცხებინო! — ჩუმად გადაულაპარაკა მოხუცმა.

—ნუ გეშინია, — ასევე ჩუმად მიუგო ბიჭმა. — დაბრძანდით, — ადგილი დაუთმო ახალმოსულს.

ქალის თავბრუდმხვევი სურნელება გაიფანტა ირგვლივ.

—ზღაპრული სურნელება! უმაღლესი პოეზია უნდა მოიშველიო, რომ ლირსეული შედარება გამონახო. — ბიჭმა თბილი მზერა მიაპყრო გოგონას.

—გმადლობთ, — შეიფერა ახალმოსულმა.

ორი საათის შემდეგ ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ.

უცბად, მათ წინ საუკეთესო მარჯის მანქანა გაჩერდა.

—ქალიშვილო, ხომ არ გცივათ? აქ თბილა, დაბრძანდით. — გოგონამ ბიჭს შეხედა, ერთი წუთით დაფიქრდა და მანქანაში ჩაჯდა.

ბიჭმა დარჩენილობით მოავლო მზერა. მოხუცი ტიროდა, კაცი ისევ არაუს სვამდა.

—ხედავ, მოხუცო? ეს არის სიყვარული, ამ დროში ფულზე ყიდიან სიყვარულსაც, ოჯახსაც და შეიღებსაც.

შენნაირები კი, მხოლოდ ერთეულები რჩებიან!



### რა არის განვითალულობა?

განმანათლებლობა მე-18 საუკუნის ეპოქის ფილოსოფიური, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მიმდინარეობა, რომლის მთავარი იარაღი იყო კრიტიკა. ამ პერიოდის მოაზროვნები ცდილობდნენ, გამოსულიყვნენ სქოლასტიკური აზროვნების ჩარჩოებიდან, რომელიც ყოველგვარ საღ შეხედულებას ზღუდავდა და ახშობდა. ისინი ცდილობდნენ, რელიგიისა და ტრადიციების საგანგმოობრივი დამოკიდებულები ცდილობდნენ, გამოსულიყვნენ კრიტიკის ანალიზის შედეგად, გამოეტანათ დასკვნები ამათუმ საკითხები, იქნებოდა ეს, ფილოსოფიური, თუ უბრალოდ, ცხოვრებისეული სადაც საკითხები. აქედან გამომდინარე, შეა საუკუნეების რელიგიურ-დოგმატიკურ წარმოდგენებს განმანათლებლობა უპირისპირებდა რაციონალიზმა და ტოლერანტობას.

1784 წელს, გერმანებმა ფილოსოფოსმა **იმანუელ განტი** გამოაქვენა წიგნი, სათაურით „რა არის განმანათლებლობა?“ მან იგი განმარტა, როგორც ადამიანის გამოსვლა არასრულწლოვანებიდან.

„ადამიანი თავის უმიზურებაში თავადება დამნაშავება, ანუ მას აკლიმა გაბედულება, სხვის ზედაშედების გარეშე გამოიყენოს სა-კუთარი გონიერი, საუკუნეების განსჯა და დაუჯეროს მას“, — ამბობს **განტი**.

რას გულისხმობს იგი არასრულწლოვანებიდან გამოსვლაში? შეა საუკუნეების ეპოქაში განვითარებული იყო ფილოსოფიური მიმდინარეობა—სქოლასტიკა, რაც გულისხმობდა იმ დროისათვის დაწესებული სტანდარტებისა და დოგმების მიხედვით მსჯელობას, რომელიც ადამიანს არომეგ საკუთარი შეხედულებებისა და

აზროვნების უნარს. **განტი** ამ დოგმების დამსხვრევას გვთავაზობს.

დმურობა ადამიანი ისეთი დიდებული საჩუქრით დააჯილდოვა, როგორიცაა აზროვნება, შესაძლებელობა, — დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები მხოლოდ საკუთარ გონებრივ მსჯელობაზე დაყრდნობით და არა ვინმეს, ან რაიმეს ზედამხედველობის ქვეშ. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს დვითისგან ბოძებული უნარი და ჩამოვაყალიბოთ რადაც ახალი, რომელიც სულ სხვა ხიბლს შემატებს ცხოვრებას? რატომ არ უნდა მივცეთ ჩვენს გონებას გასაქანი, რომ უფრო მეტად განვითარდეს?

განმანათლებლობის უმთავრეს მტრად ფილოსოფოსები სიზარმაცესა და სილამრეს ახალებებები. ძალიან ადგილია ნაჭუჭუში ყოფნა. მერე რა მოხდა, თუ არ ვფიქრობ! სხვა ხომ ფიქრობს და აკეთებს? — ამ პრინციპით ცხოვრება საქმაოდ კომფორტულია, იყო შენთვის, შეასრულო ის, რასაც გიბრძანებული, დაექვემდებარო სხვას და ცხოვრობდე ასე „მშვიდად და აუმდგრევლებად“. თუ კარგად დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ეს კომფორტი კი არა, — უბედურებაა, რომლის სათავე სწორებ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა უმრავლესობას ეზარება ტვინის ზედმეტად ამუშავება და ძიება.

შეელა ჩვენგანი უნდა ცდილობდეს, გონებას არ მისცეს დაჩლუნგების საშუალება, რადგან მხოლოდ ასე თუ შევძლებოთ უკეთესობისკენ ცვლილებას.

### გარდა აბეჭდისა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.